ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარიკა დარჩიას

2018-2019 წწ გაწეული სამუშაოს ანგარიში

მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის დღიდან (2017 წლის 14 ნოემბერი) ვარ ამავე მოწვევის საკრებულოს წევრი. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ასევე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე და შემდეგი კომისიების წევრი:

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია;
- განათლებისა და კულტურის კომისია;

სტატისტიკა

- საკრებულოს სხდომათა რაოდენობა: 18
- ბიუროს სხდომათა რაოდენობა : 19
- მიღებული დადგენილებების რაოდენობა: 98
- მიღებული განკარგულებების რაოდენობა: 359

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია;

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 13
- განხილული საკითხების რაოდენობა: 114

განათლებისა და კულტურის კომისია

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 14
- განხილული საკითხების რაოდენობა:17

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 20
- განხილული საკითხების რაოდენობა: 21

განათლებისა და კულტურის კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვაში. ვარ მერიის და საკრებულოს 2 ერთობლივი კომისიის წევრი, რომელიც საპატიო თბილისელებისა და პანთეონებში წესების და რეგულაციების დადგენის საკითხებს ეხება. კომისიებში რეგულარულად ვმუშაობ აღნიშნულ თემებზე და არსებული წესების შეცვლაზე და დანერგვაზე.

რაც შეეხება საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას, გამოვყოფ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებს, „კულტურული ღონისძიებები“; „შემოქმედებითი თბილისი“; „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“; „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“; „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“; „სპორტული ღონისძიებები“; „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“. კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში აღსანიშნავია ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „**მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება**“-ს დაფუძნება. თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცე, სადაც მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს მრავალფეროვანი ფონდით, როგორც წიგნადი (მატერიალური) ისე ელექტრონული რესურსებით. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განავითარებს ჩვენს ქალაქს და მას ახალ სიცოცხლეს შესძენს.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

2018 წლის ნოემბრიდან ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 13 სხდომა, აქედან 5 საჯარო განხილვა.

განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 114 საკითხი. უშუალო ინიციატივით სახელი მიენიჭა დედაქალაქის არაერთ გეოგრაფიულ ობიექტს: ქუჩას, სკვერს, სპორტულ მოედანს. 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპული ექვსი ქალბატონის სახელი მიენიჭა ჩუღურეთის რაიონში მდებარე ქუჩებს; ასევე, მსახიობებისა და რეჟისორების სახელები დედაქალაქის რიგ ქუჩებს; ინიცირებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე მუნიციპალური, მულტიფუნქციური 35 ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობების სახელდების პროექტის საკითხი, რის შედეგადაც ნუმერაციის ნაცვლად, ბიბლიოთეკებს მიენიჭა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელები.

მოსახლეობასთან ურთიერთობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი რეალობის, საჭიროებებისა და ინიციატივების გაცნობის, მათთვის და დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს. საანგარიშო პერიოდში შევხვდი და მოვუსმინე თითოეულ მოქალაქეს, რომელთაც როგორც საკრებულოს წევრს, მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, აღსანიშნავია: სოციალური, ჯანდაცვის, დასაქმების, სპორტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო, ქუჩების სახელდება და სახელწოდების აღმნიშვნელი აბრების განთავსების თემები.

აქტიური კოორდინაცია მქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებთან. ასევე, ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიებთან, მათი საქმიანობის სფეროს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევის მიზნით.

მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრების ფორმატში აღსანიშნავია, ასევე, საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად, მოსახლეობასთან გასვლითი, გაცნობითი თუ სხვა სახის ღონისძიებები. გამოვყოფდი, ისნის რაიონში რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრას, მათ შორის სკრინინგის პროგრამების მობილური სადგურის პოპულარიზაციას ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა, როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე. გავეცანი თითოეულ შემოსულ კორესპონდენციას და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ ვადებში, სამდივნოს თანამშრომელთა ჩართულობით, თითოეულ მათგანზე მოვახდინეთ შესაბამისი რეაგირება (მივიღეთ ცნობის სახით, გავუწიეთ შუამდგომლობა).

სისტემატურად კონტროლდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცხელ ხაზზე შემოსულ ზარები, სადაც მოქალაქეები ძირითადად მოგვმართავენ ქალაქის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზონალურ ცვლილებებზე, სატრანსპორტო და სოციალურ თემებზე, ქუჩების სახელდებაზე, მიწის ლეგალიზებაზე.

ვასრულებ საკრებულოს წევრის კანონმდებლობით გაწერილ უფლეობა-მოვალეობებს, მათ შორის, ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდში ჩართული გახლდით აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაში. აპარატს, როგორც საკრებულოს სამუშაო რეჟიმის წარმმართველ, განსაკუთრებულ რგოლს, წარმოდგენილი ჰქონდა სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული თუ სოციალური პროექტი. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოეწყო გასვლითი ტრენინგები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომელთათვის.

ჩემი ინიციატივით 2018 წლიდან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყო და დღემდე გრძელდება, ყოველი თვის პირველ შაბათს, შემეცნებით-კულტურული ხასიათის პროექტი „თბილისის ისტორიები საკრებულოდან“, რომელიც სხვადასხვა შინაარსის თემაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ექვსჯერ ჩატარდა, აღსანიშნავია რომ ამ დროს 2 საათის განმავლობაში საკრებულოში სტუმრობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს. თემებს, ვარჩევთ მოქალაქეების ინტერესების და მოთხოვნის მიხედვით, ასევე განსაკუთრებით ვარჩევთ მომხსენებლებს.

3 ნოემბერი (2018წ) თემა- ,,თბილისური ტრანსპორტი“, მისი უძველესი სახეობები და ზოგადად ტრანსპორტის განვითარების ისტორია თბილისში - ისტორიის წარმდგენი ტრანსპორტის სპეციალისტი, შალვა ოგბაიძე;

1 დეკემბერი (2018წ) თემა- ,,ამბები ძლიერ ქალებზე“ - მთხრობელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ლელა გაფრინდაშვილი;

2 თებერვალი (2019წ) თემა -„თბილისი მოდერნიზმიდან წითელ ტერორამდე“, მთხრობელი ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი ეკატერინე კიკნაძე;

6 აპრილი (2019წ) თემა -,,თბილისის გენგეგმების ისტორია 1934-2019წწ", თემა წარმოადგინა არქიტექტორმა და ურბანისტმა მამუკა სალუქვაძემ;

4 მაისი (2019წ)-„თბილისის მემორიალური სახლ-მუზეუმები“, მთხრობელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მუზეუმების სპეციალისტი ნინო სანადირაძე;

6 ივლისი თემა- (2019წ) წლის მანძილზე პროექტის ფარგლებში ჩატარებული თემების და სხვა მნიშვნელოვანი ამბების მიმოხილვა-შეჯამება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით უჯმაჯურიძის სახელის უკვდავსაყოფად, დავაფუძნეთ მისივე სახელობის საქველმოქმედო ფონდი. იმავე დღეს, აღნიშნულ შეკრებაზე, დავაჯილდოვეთ ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი. ფონდს მომავალში ოჯახის წევრები და მეგობრები გაუწევენ კურატორობას და კვლავ დააფინანსებენ იმ წარმატებულ სტუდენტებს, რომლებიც უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელებას ვერ ახერხებენ.

გენდერული საბჭოს მუშაობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო და დადგენილებით განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. საბჭოს შემადგენლობაში შედის 21 წევრი (16 ქალი, 5 კაცი). 2018 წელს გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა და საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2020 წწ გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმის დამკვიდრება;
- გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;
- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა;

გენდერული პოლიტიკის გატარება ადგილობრივ დონეზე ქვეყნის მთავარი გენდერული სტრატეგიის ნაწილია. მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ახორციელებენ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, ასევე, თანამშრომლობას მაჟორიტარების წარმომადგენლობებთან, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ახლოს ვიდგეთ მოსახლეობასთან, გავეცნოთ მათ პრობლემებს და დავეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულმა საბჭომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრები, ქალთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად "ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს" ესტუმრნენ. თავშესაფრის ბაზაზე დაარსებული სოციალური საწარმო დაათვალიერეს და შემდგომი თანამშრომლობის გეგმები და კონკრეტული აქტივობები დაგეგმეს.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერული საბჭოს ორგანიზებით, უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობის და UNDP-ს წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეება ერთმანეთს გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების და ქალი მშვიდობა და უსაფრთხოება კუთხით გამოცდილება გაუზიარეს და შემდგომი თანამშრომლობის გზებზე შეთანხმდნენ.
- თბილისის საკრებულოში, გენდერული საბჭოს ეგიდით, ღონისძიება „ერთად ვეძებოთ გზები" გაიმართა.
  შეხვედრას საკრებულოს წევრები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირები, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე და

ბიზნეს სექტორში დასაქმებული ქალები ესწრებოდნენ. ღონისძიება მიზნად ქალის როლის გააქტიურებას, პოლიტიკურ, კულტურულ და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობას უკავშირდებოდა.

- ხანდაზმულთა პანსიონატს „ბასილიადა“ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს საჩუქარი გადაეცა. საბჭოს წევრებმა პანსიონატის დამფუძნებელთან შეხვედრის შემდეგ პანსიონატის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს და კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას დაჰპირდნენ.
- ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით პროექტის „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე“ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი იყო თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ფორმირება.
- თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებმა კონფერენციაში „გენდერის საკითხები ურბანული მმართველობის და ტრანსპორტის სფეროში“ მონაწილეობა მიიღეს. კონფერენცია აზიის განვითარების ბანკის მონაწილეობით გაიმართა და მასში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენციაზე ურბანული განვითარების და სატრანსპორტო სფეროში ქალთა ჩართულობის საკითხები განიხილეს და ამ მიმართულებით სამოქმედო რეკომენდაციები შეიმუშავეს.
- თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებსა და აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საკრებულოს წევრებს მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგები გააცნეს. პრეზენტაცია სახელწოდებით „ფოკუს ჯგუფების შედეგები“ საქართველოს რამდენიმე ქალაქში ჩატარდა და მოსახლეობის გენდერულ განწყობას ეხებოდა. კვლევა მოიცავდა შემდეგს: გენდერი და დასაქმება, დეკრეტული შვებულება მამაკაცებში, ქალები სამხედრო სამსახურში.
- შვედეთის საელჩოს მხარდაჭერით სასტუმრო “რუმს თბილისში“ „გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება“ კონფერენცია გაიმართა. რომელსაც, საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასა და ქალ თა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით არსებულ სიახლეებსა და გამოწვევებზე ვისაუბრე.
- გენდერული საბჭოს წევრებმა შშმ ქალთა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრა საკომიტეტო მოკვლევის ფარგლებში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით შედგა და შშმ ქალთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხებს შეეხო.
- თბილისის საკრებულოში ღონისძიება „ქალები ბრძოლის გზებზე-განსხვავებული პროფესიები თანასწორობისთვის“ გაიმართა. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა წოდების სამხედრო მოსამსახურე ქალები და თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანიაში მომუშავე მძღოლი ქალები.

- გენდერულმა საბჭომ, საკრებულოს აპარატის წარმომადგენლებთან ერთად გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ და დაფინანსებულ პროექტში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: გენდერული სტატისტიკა და ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის შედეგები.
- 7-12 ოქტომბერს საკრებულოს წევრებთან ერთად ვმონაწილეობდი, საერთაშორისო დიალოგის პლატფორმაში „ცხოვრების ხარისხი- დავიცვათ ურბანული გარემო“. შეხვედრაზე ექსპერტებმა ისაუბრეს ვერეს პარკის დაგეგმარების ახალი კონცეფციაზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ. შემუშავდა რჩევები და რეკომენდაციები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების და სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებას ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან საკრებულოს აპარატის თანამშრომლები. ჩვენი ყველა შეხვედრა და აქტივობა პერმანენტულად თავსდება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tbsakrebulo.gov.ge).